

უკ: 349 + 342.5 + 37.005 + 338 + 331

უმაღლესი სპორტული საგანმანათლებლო ბაზრის მართვის და სამართლებრივი რეგულირების ასპექტები საქართველოში

გიორგი ჭილაძე

საქართველოს უნივერსიტეტი, NASA-Georgia

ანოტაცია

სამართლებრივი და ბიზნეს განათლება, - სტუდენტთა უპირატესობების საერთაშორისო სკალაზე, - ინარჩუნებს ერთ-ერთ ყველაზე მაღალ პოზიციას. ეს არის სპეციალობები, რომლებიც დაკავშირებულია სპორტის სამართალთან, სპორტის ეკონომიკასთან, სპორტის მენეჯმენტთან, სპორტის მარკეტინგთან, სპორტის ინდუსტრიაში საქმიანი ინფორმაციის სისტემებთან და ა.შ. სამწუხაროდ, ასეთი სპეციალობები არ არის აღნიშნული საქართველოს სპორტის პროფილის უმაღლესებისა და ფაკულტეტების მისიაში, რაც წინააღმდეგობაში მოდის სპორტის პოლიტიკის სახელმწიფო დოკუმენტის (2014-2020) მე-4.2. თავთან.

უნივერსიტეტმა უნდა გააკეთოს განაცხადი ახალ, პერსპექტიულ სპეციალობებზე, სპორტის სამართლის, სპორტის მართვის და სპორტის ეკონომიკის განხრით საჭიროა კავშირების დამყარება უცხოეთის მონათესავე საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. 2015-2016 წლებში შესაბამისი პროგრამების შემუშავება და მათი შეთავაზება როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი სტუდენტებისათვის. საჭიროა, რომ უკვე მოქმედ პროგრამებში შევიდეს ცვლილებები სპორტის სამართლებრივი და ეკონომიკური მიმართულების სასწავლო დისციპლინების მოცულობასა და შინაარსში.

სავარაუდოდ, გაიზრდება მომხმარებელთა ე.წ. “არატრადიციული” ჯგუფების წილი და მათი საქმიანობის სამართლებრივი რეგლამენტაციის აუცილებლობა. ეს ეხება სპორტის ინდუსტრიაში დასაქმებული ეკონომისტების, იურისტების და მენეჯერების, სხვა სპეციალისტების მომზადებისა და გადამზადების საკითხებს.

საკვანძო სიტყვები: სპორტის სამართალი, სპორტის პოლიტიკა, სამართლებრივი და ბიზნეს განათლება.

უმაღლესი სპორტული განათლების სტუდენტთა უპირატესობების საერთაშორისო სკალაზე ერთ-ერთ ყველაზე მაღალ პოზიციას ინარჩუნებს სამართლებრივი და ბიზნეს განათლება. სათანადო სასწავლო პროგრამების შეთავაზების შემთხვევაში, მას ირჩევს სპორტის უნივერსიტეტებისა და ფაკულტეტების სტუდენტთა თითქმის მეოთხედი. ეს არის სპეციალობები, რომლებიც დაკავშირებულია სპორტის სამართალთან, სპორტის ეკონომიკასთან, სპორტის მენეჯმენტთან, სპორტის მარკეტინგთან, სპორტის ინდუსტრიაში საქმიანი ინფორმაციის სისტემებთან და ა.შ.

სამწუხაროდ, ასეთი სპეციალობები არ არის აღნიშნული საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მისიაში, რაც წინააღმდეგობაში მოდის სპორტის პოლიტიკის სახელმწიფო დოკუმენტის მე-4.2. თავთან. უფრო მეტიც, ჩანაწერი იმის თაობაზე, რომ უნივერსიტეტი, აყალიბებს სტუდენტებში პოფესიულ უნარ-ჩვევებს და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მაღალ დონეზე წარმართვას და შრომის ბაზრისთვის კვალიფიციური, ღრმა კომპეტენციის მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას, რეალურად შეიძლება იქნეს გამოყენებული მხოლოდ ლოკალურ ბაზარზე, ისიც შეზღუდული სახით და მხოლოდ სპორტის ტრადიციულ სპეციალობებში სპეციალისტების მოსამზადებლად. იგი ჩამორჩება სპორტის საერთაშორისო საგანმანათლებლო ბაზრის მოთხოვნებს და ვერ გადაჭრის სპორტის სფეროში საფუძვლიანი ეკონომიკური და იურიდიული განათლების, შესაბამისი კომპეტენციის მქონე მმართველი კადრების მომზადების საკითხებს, რაც საბოლოო ჯამში, აღნიშნული მიმართულებით, ვერ უზრუნველყოფს სწავლის, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევების აკადემიური თავისუფლების სრულფასოვანი პირობების შექმნას და მომავალზე ორიენტირებული უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას.

ჩემი აზრით, უნივერსიტეტის საქმიანობის მარეგლამენტირებელ დოკუმენტებში, კერძოდ, უნივერსიტეტის მისიაში უნდა გადაიხედოს და შემცირდეს დაგეგმილი ღონისძიებების შესრულების ვადები. კერძოდ, როდესაც საუბარია შრომის ბაზრის კვლევაზე, ამ ბაზრის სპეციფიკიდან გამომდინარე, ორ წელიწადში ერთხელ კვლევის განხორციელება წარმოადგენს საკმაოდ დიდ ინტერვალს.

ალბათ იმის გამო, რომ თავის დროზე არ იქნა ჩატარებული სიღრმისეული კვლევა, უნივერსიტეტს “გამორჩა” და განაცხადი ვერ გააკეთა ისეთ ახალ, პერსპექტიულ სპეციალობებზე, რომლებიც მოთხოვნადია ქართული საზოგადოების მხრიდან. მსგავსი მიდგომის გამეორების შემთხვევაში, უნივერსიტეტი შეიძლება აღმოჩნდეს ანალოგიურ სიტუაციაში მომავალშიც.

სწორედ ამიტომ, ბაზრის კვლევისა და დარგის მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტმა დროულად უნდა შესთავაზოს კვალიფიციურად აგებული თანამედროვე სასწავლო პროგრამები, დანერგოს სწავლების პროცესის თანამედროვე მეთოდოლოგიები და ტექნოლოგიები, რომლებიც სტუდენტებს მისცემს ცოდნას როგორც ფიზიკური აღზრდის და სპორტის სფეროში, ისე სპორტის სამართლის, სპორტის მართვისა და ეკონომიკის მოთხოვნად სპეციალობებში, მეცნიერებების სხვადასხვა დარგში.

მიმდინარე ეტაპზე, ზემოაღნიშნული მიმართულებით ჩამორჩენის დაძლევის მიზნით, სახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე, საჭიროა აქტიური თანამშრომლობა საქართველოს სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან, სპორტის სამართლის, სპორტის მართვის და სპორტის ეკონომიკის განხრით კავშირების დამყარება უცხოეთის მონათესავე საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სტუდენტთა და პროფესორთა ურთიერთგაცვლითი პროგრამების რეალიზება, 2015-2016 წლებში ზემოაღნიშნული შესაბამისი პროგრამების შემუშავება და მათი შეთავაზება

როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი სტუდენტებისათვის იმის გათვალისწინებით, რომ უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებსა და მათი შესრულების ვადებში 2014-2019 გათვალისწინებულია მობილობის ხელშეწყობის მექანიზმების უზრუნველყოფა.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ ასევე საჭიროა, რომ სამართლებრივად მოაწესრიგოს ზემოაღნიშნული საკითხები, უკვე მოქმედ საბაკალავრო პროგრამებში ცვლილებები შეიტანოს სპორტის სამართლებრივი და ეკონომიკური მიმართულების სასწავლო დისციპლინების მოცულობასა და შინაარსში. კერძოდ, მათი სწავლების დროს, სულ მცირე, 2-ჯერ მაინც უნდა გაიზარდოს სასწავლო პროგრამით და სასწავლო დისციპლინის სილაბუსით განსაზღვრული დრო / კრედიტების რიცხვი. ასე მაგალითად, სპორტის უნივერსიტეტში, საბაკალავრო სასწავლო პროგრამის მიხედვით, სპორტის სამართალი ისწავლება, როგორც 3-კრედიტიანი სასწავლო დისციპლინა. ამავე დროს პროგრამაში, სამართლებრივ დისციპლინათა ბლოკიდან, წარმოდგენილია მხოლოდ ეს ერთი საგანი, რაც აშკარა ხარვეზია. სტუდენტებს, ზოგადსაუნივერსიტეტო სასწავლო კურსების მოდულის ფარგლებში არ ეკითხებათ კურსი სამართლის საფუძვლებში, ხოლო სხვა სასწავლო მოდულებში არ არის გათვალისწინებული შესაბამისი კურსები შრომის სამართალში / შრომითი ურთიერთობები სპორტში და სპორტული კონტრაქტის მომზადების საფუძვლებში, სამეწარმეო სამართალში. ანალოგიური სიტუაციაა ეკონომიკური დისციპლინების ბლოკში გაერთიანებულ საგნებთან დაკავშირებით.

სწორედ ამიტომ, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ, მიმდინარე ეტაპზე, ახალი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შეთავაზება უნდა განხორციელდეს მიზნობრივი, - როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნილებების კვლევის, - საფუძველზე და მას თან უნდა ახლდეს ახალი ტექნოლოგიებისა და სწავლების მეთოდების დაუფლება.

სპორტის უნივერსიტეტის მოქმედ საბაკალავრო პროგრამებში, ჩემი აზრით, აქცენტის გადატანა უნდა განხორციელდეს სააუდიტორიო დატვირთვიდან დამოუკიდებელი მუშაობის ეფექტურ ორგანიზებაზე. თუმცა, იგი მოითხოვს დამოუკიდებელი მუშაობის სასწავლო-მეთოდურ უზრუნველყოფას, ცოდნის შეფასებისა და პედაგოგთა შემადგენლობის სპეციალური მომზადებისა და სერთიფიცირების შეცვლას. ეს უკანასკნელი გასათვალისწინებელი ფაქტორია, ვინაიდან პედაგოგთა გარკვეულმა ნაწილმა ყოფილი საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო აკადემიაში სასწავლო პროცესის შვიდწლიანი იძულებითი შეჩერების პირობებში პრაქტიკულად დაკარგა კვალიფიკაცია. ამაზე მეტყველებს თუნდაც 2007-2014 წლებში მათ მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების დაბალი რიცხვიც.

საქართველოში სპორტული პროფილის უმაღლესი სასწავლებლები და ფაკულტეტები მიმდინარე სწავლებიდან უნდა გადავიდნენ სასწავლო პროცესის ისეთ ორგანიზებაზე, რომელიც ითვალისწინებს თავად სტუდენტის პასუხისმგებლობას

სწავლის ხარისხსა და შედეგებზე. ეს კი მოითხოვს მოტივაციისა და ცვლილებების მართვის ახალი სისტემის შექმნას. ამავე დროს არ უნდა დაგვავიწყდეს შრომის ბაზრის მოთხოვნები.

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი მუშაობს ერთდროულად ორ ბაზარზე: უმაღლესი სასწავლებელი სთავაზობს საზოგადოებას გარკვეული სახის მომსახურებას, რომლის მომხმარებლები არიან სტუდენტები, და, ამავდროულად, თავისი მოღვაწეობის შედეგებს წარმოადგენს შრომის ბაზარზე, რომლის მომხმარებლებიც არიან საჯარო და კერძო, აგრეთვე სასწავლო დაწესებულებები, ქვეყნის ეკონომიკის სხვადასხვა დარგის საწარმოები და ორგანიზაციები. სწორედ ეს ორმაგი ბუნება ქმნის გარკვეულ გაუგებრობას საქონლის, გასაღების მიზნობრივი ბაზრისა და მომხმარებელთა ჯგუფის განსაზღვრის დროს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი საქმიანობს ორ ურთიერთდამოკიდებულ ბაზარზე (სპორტული საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარი და შრომის ბაზარი), ორივე ბაზრისათვის მას გააჩნია მხოლოდ ერთი პროდუქტი. კერძოდ, უმაღლესი სასწავლებლის საქმიანობის ძირითადი მიმართულება საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდებაა.

სპორტის სპეციალისტთა საგანმანათლებლო მომსახურების საერთაშორისო ბაზარი ხასიათდება ისეთივე ტენდენციებით, როგორც სამომხმარებლო საქონლის ბაზარი. გლობალიზაციის პირობებში საგანმანათლებლო მომსახურება გასცდა ეროვნულ საზღვრებს, ვითარდება ტრანსნაციონალური და საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამები სპორტის სფეროში.

იცვლება სპორტული განათლების როლი თანამედროვე მსოფლიოში – ის ხდება ხანგრძლივი და უწყვეტი პროცესი, ვინაიდან მთელი ცხოვრების მანძილზე ადამიანი აცნობიერებს ცოდნის მოძველების, მისი განახლებისა და შევსების, ძირითადი პროფესიის მომიჯნავე და ახალი პროფესიული დარგების დაუფლების აუცილებლობას. სწორედ ამის გამო, სპორტული განათლების სფეროში ინტეგრაციის პროცესმა ასახვა უნდა ჰპოვოს საგანმანათლებლო ორგანიზაციებისა და ეროვნული საგანმანათლებლო სისტემების თანამშრომლობასა და სასწავლო დატვირთვის ზომის ერთეულებისა და ხარისხის ერთიანი სტანდარტების შერჩევაზე.

საქართველოში სპორტული განათლების ბაზარზე სიტუაციის შეცვლა, თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით სპორტული პროფილის საგანმანათლებლო პროგრამების შერჩევის ფართო შესაძლებლობა თანდათანობით გამოიწვევს ინიციატივისა და უპირატესობების გადასვლას მომხმარებლის ხელში. ეს უკანასკნელნი კი ჩამოყალიბდებიან მრავალრიცხოვანი ჯგუფების სახით, თავისი სპეციფიკური მოთხოვნებით (მაგალითად, პირები, რომლებიც გეგმავენ სპეციალური განათლების მიღებას როგორც სპორტის ცალკეული სახეობებში, ისე სპორტის ეკონომიკაში, სპორტის სამართალში, სპორტის მენეჯმენტში). გაიზრდება მომხმარებელთა ე.წ. “არატრადიციული” ჯგუფების წილი, რომელთა დემოგრაფიული მახასიათებლები, მოთხოვნები და მოხმარების პირობები განსხვავდება ტრადიციული

სტუდენტებისაგან. ეს ეხება როგორც საშუალო სკოლებში ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების, ისე სპორტის ინდუსტრიაში დასაქმებული ეკონომისტების, იურისტების და მენეჯერების, სხვა სპეციალისტების მომზადებისა და გადამზადების საკითხებს.

როგორც მიმდინარე ეტაპზე, ისე გრძელვადიან პერიოდში საქართველოს სპორტული პროფილის უმაღლეს სასწავლებლებს და ფაკულტეტებს, სპორტის საერთაშორისო საგანმანათლებლო ბაზარზე დასამკვიდრებლად დასჭირდებათ ხარისხის საერთაშორისო სტანდარტების შემოღება და მათი მკაცრი დაცვა. ასეთი სტანდარტების სისტემის შერჩევა კი უნდა ხდებოდეს უმაღლესი სასწავლებლის სტრატეგიული ამოცანებიდან გამომდინარე (რაზედაც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი). სტრატეგიაში უნდა იქნეს გაითვალისწინებული განვითარების ყველა მიმართულება და პოზიცია ბაზარზე, აგრეთვე ყოველი მიმართულების კონკრეტული ბიზნეს-მოდელების შემუშავებისა და მათი მართვის პროცესები. საჭიროა დაინერგოს ცვლილებების მართვის ეფექტური სისტემა და ამ მიზნით განხორციელდეს სტრატეგიული მიდგომა საქმიანობის როგორც არსებული, ისე ახალი მიმართულებების ანალიზისადმი.

ლიტერატურა:

1. საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საიტი <http://www.sportuni.ge/>
2. სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტი (2014 – 2020)http://msy.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=319&info_id=10631
3. <http://sportuni.ge/multimedia/ups/samkurnalo.pdf>
4. <http://sportuni.ge/multimedia/ups/mwvrtnelta.pdf>
5. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №120/ნ 2010 წლის 10 დეკემბერი ქ. თბილისი “ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ”). http://eqe.ge/geo/education/national_qualifications_framework
6. Алексеев С.В. Спортивное право. Трудовые отношения в спорте. М., 2013, 647 стр.
7. Деревнина А.Ю. Проектирование миссии университета. Высшее образование. 2008, №3. с. 117
8. Ламбен Ж.-Ж. Стратегический маркетинг. С.-Пб., Наука, 1996, 589 с.
9. www.aeag.org.ge/data/file/225/01_Education%20system%20overview.pdf
10. <http://sportuni.ge/1/23/%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90>
11. Сагинова О.В. Интернационализация высшего образования как фактор конкурентоспособности. <http://www.marketologi.ru/lib>.
12. ჭილაძე გ.ბ. სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის, სპორტის და სპორტული განათლების მართვის ზოგიერთი ასპექტი საქართველოში // საერთაშორისო სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „სწავლებისა და აღზრდის აქტუალური პრობლემები“ / ქუთაისი, 2014 წლის 5-6 ივლისი

13. ჭილაძე გ.ბ. სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის და სპორტული განათლების ზოგიერთი ასპექტი საქართველოში // საერთაშორისო სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „სწავლებისა და აღზრდის აქტუალური პრობლემები“ / ქუთაისი, 2014 წლის 5-6 ივლისი
14. <http://www.oecd.org>
15. www.unesco.org

Article received: 2014-13-03